

კონკურსის განაცხადი

აღნიშნული კონკურსის მიზანია მცირე და საშუალო კომპანიების შერჩევა არქიტექტურა-დიზაინის, ბიზნეს საკონსულტაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების (პროგრამული უზრუნველყოფა) სფეროებში და შერჩეული კომპანიებისთვის ტექნიკური დახმარების პაკეტის, ტრენინგებსა და მასტერკლასებში მონაწილეობის და შვედეთში სასწავლო ვიზიტის თანადაფინანსების მიღების შესაძლებლობის გაჩენა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება მხოლოდ აღნიშნულ ინტელექტუალური ბიზნეს სერვისების სექტორებში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის ქართულ კომპანიებს შეუძლიათ. კონკურსში გამარჯვებულ კომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ შემდეგი ორი სარგებელი:

1). 15,000 ლარამდე ტექნიკური დახმარების პაკეტი კომპანიის მხრიდან 30%-იანი თანადაფინანსების გზით;

- პროექტის მიერ 70%-იანი ტექნიკური დახმარების თანადაფინანსება შესაძლებელია კომპანიებმა გამოიყენონ შემდეგი პროდუქტის, მომსახურების, და/ან მიმართულების განვითარებისათვის, რაც მიზნად ისახავს კომპანიის ბიზნესის განვითარების, გაფართოების და/ან ინტერნაციონალიზაციის პოტენციალის ზრდას განსაკუთრებული აქცენტით ევროპის ბაზარზე. თითოეულ კომპანიას აქვს შესაძლებლობა მონიშნოს მინიმუმ ერთი ან მაქსიმუმ სამი ქვემოთ მოცემული პუნქტი კომპანიის საჭიროებებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

1. პროგრამული უზრუნველყოფის შემენა.
2. ტექნოლოგიის(ების)/ტექნიკის/აღჭურვილობის/მოწყობილობის მოდერნიზება / განახლება.
3. პროდუქტის, სერვისის, ბიზნეს და/ან მართვის პოცესის ლიცენზირება / სერტიფიცირება საერთაშორისო და/ან ევროპული სტანდარტით(ებით).
4. საერთაშორისო ორგანიზაციის/ასოციაციის/პროფესიული გაერთიანების წევრობა.
5. კომპანიის ვებ-გვერდის შექმნა / განახლება.
6. საერთაშორისო ღონისძიებაში (რელევანტური კონფერენცია, გამოფენა, ტრენინგი, რაც ხელმისაწვდომი არ არის საქართველოში) მონაწილეობა.
7. რეკლამა და/ან მარკეტინგული აქტივობა ევროპის ბაზარზე.
8. კომპანიის სტრატეგიის განვითარება / განახლება (ხედვა, მისია, ღირებულებები, პროდუქტი, მომსახურება, ა.შ.).

9. სხვა

2). ისარგებლონ შვედეთში ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტით, საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის. კონკრეტულად ევროპული ცოდნის მიღების და ევროპულ ორგანიზაციებთან კავშირების გაფართოების მიზნით. პროექტის ფარგლებში მოხდება მგზავრობის (ავიაბილეთი), სასტუმროს და შეხვედრებისთვის სივრცის დაფარვა, გარდა სამივლინებო (per diem, კვება) ხარჯისა.

არქიტექტურის და დიზაინის მომსახურების სფეროში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განმარტება:

- არქიტექტურული მომსახურება და პროექტირება
- ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინის მომსახურება
- ლანდშაფტის დიზაინი
- პროდუქტის დიზაინი

აუცილებელი მოთხოვნები:

- კომპანიას უნდა გააჩნდეს რეგისტრაციის იურიდიული ფორმა (შპს, ა.შ.)
- ადგილობრივ ბაზარზე მინიმუმ ერთ წლიანი ოპრირების გამოცდილება
- მინიმუმ ორი მუდმივი დასაქმებული თანამშრომელი
- სააპლიკაციო ფორმის სრულად შევსება
- სამოტივაციო წერილი (სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში):
 - 1). ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოთხოვნილი ბიუჯეტის ათვისების გეგმა - ა). თუ რაში სჭირდება პროექტიდან 70%-იანი თანადაფინანსება; და ბ). როგორ წაადგება აღნიშნული მომსახურების თუ პროდუქტის შექმნა ბიზნესის განვითარებაში, გაფართოებაში და ინტერნაციონალიზაციის პოტენციალის გაზრდაში ევროპის ბაზარზე.
 - 2). რა ტიპის ევროპული ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას ისურვებდა და რა ტიპის ევროპულ ორგანიზაციებთან დაამყარებდა კავშირებს.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- კომპანიის პორტფელი
- სარეკომენდაციო წერილი მომხმარებლისგან (რომელშიც აღწერილი იქნება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება).

შენიშვნა: თუ კომპანია დაინტერესებულია ორივე კომპონენტით (სასწავლო ვიზიტით და ტექნიკური დახმარებით) სარგებლობით, შესაბამისად აუცილებელი მოთხოვნა

არის ორი შესაბამისი სამოტივაციო წერილის დაწერა სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფებში. სამოტივაციო წერილი შეიძლება შედგებოდეს მინიმუმ 200 და მაქსიმუმ 500 სიტყვისგან.

შერჩევის პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება:

- კომპანიის პორტფელს - საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება, მათ შორის ადგილობრივ ბაზარზე უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
- ადგილობრივი ან საერთაშორისო ასოციაციის, პროფესიული ორგანიზაციის და/ან კლასტერის წევრობას.
- საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება (გამოფენები, კონფერენციები, ტრენინგები, სეზონური მისიები, ა.შ.).
- კომპანიებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, განხორციელებული პროექტების თუ სერვისების და საქმიანობის გზით, დადებით გავლენას ახდენს საქართველოში გარემოს დაცვის და გენდერული თანასწორობის (მაგალითად: ქალების ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში წახალისების) პოპულარიზაციაზე. აღნიშნულის შესახებ, კონკურსში მონაწილე კომპანიებმა აუცილებელია მიუთითონ და შეავსონ კონკურსის განაცხადის ფორმის შესაბამისი გრაფა.
- კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე და დასავლური ღირებულებები ორგანიზაციის მართვაში - მდგრადი განვითარება და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

შეზღუდვა: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეზღუდულია ინდივიდუალური მეწარმეებისთვის, ასევე მსხვილი კორპორაციებისთვის და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობისთვის და/ან უცხოური კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში.

ბიზნეს საკონსულტაციო სფეროში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განმარტება:

- კვლევითი კომპანიები
- გაყიდვები და მარკეტინგი
- ბრენდინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)
- მენეჯმენტ კონსალტინგი (გარდა იურიდიული, საგადასახადო და აუდიტორული მომსახურებისა)
- სარეკლამო მომსახურება

აუცილებელი მოთხოვნა:

- კომპანიას უნდა გააჩნდეს რეგისტრაციის იურიდიული ფორმა (შპს, ა.შ.)
- ადგილობრივ ბაზარზე მინიმუმ ერთწლიანი ოპერირების გამოცდილება

- მინიმუმ ორი მუდმივი დასაქმებული თანამშრომელი
- სააპლიკაციო ფორმის სრულად შევსება
- სამოტივაციო წერილი (სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში):
 - 1). ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოთხოვნილი ბიუჯეტის ათვისების გეგმა - ა). თუ რაში სჭირდება პროექტიდან 70%-იანი თანადაფინანსება; და ბ). როგორ წაადგება აღნიშნული მომსახურების თუ პროდუქტის შექმნა ბიზნესის განვითარებაში, გაფართოებაში და ინტერნაციონალიზაციის პოტენციალის გაზრდაში ევროპის ბაზარზე.
 - 2). რა ტიპის ევროპული ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას ისურვებდა და რა ტიპის ევროპულ ორგანიზაციებთან დაამყარებდა კავშირებს.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- კომპანიის პორტფელი (განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი)
- სარეკომენდაციო წერილი მომხმარებლისგან (რომელშიც აღწერილი იქნება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება).

შენიშვნა: თუ კომპანია დაინტერესებულია ორივე კომპონენტით (სასწავლო ვიზიტით და ტექნიკური დახმარებით) სარგებლობით, შესაბამისად აუცილებელი მოთხოვნა არის ორი შესაბამისი სამოტივაციო წერილის დაწერა სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფებში. სამოტივაციო წერილი შეიძლება შედგებოდეს მინიმუმ 200 და მაქსიმუმ 500 სიტყვისგან.

შერჩევის პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება:

- კომპანიის პორტფელი - საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება, მათ შორის ადგილობრივ ბაზარზე.
- საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება (გამოფენები, კონფერენციები, ტრენინგები, სავაჭრო მისიები, ა.შ.)
- კომპანიებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, განხორციელებული პროექტების თუ სერვისების და საქმიანობის გზით, დადებით გავლენას ახდენს საქართველოში გარემოს დაცვის და გენდერული თანასწორობის (მაგალითად: ქალების ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში წახალისების) პოპულარიზაციაზე. აღნიშნულის შესახებ, კონკურსში მონაწილე კომპანიებმა აუცილებელია მიუთითონ და შეავსონ კონკურსის განაცხადის ფორმის შესაბამისი გრაფა.
- კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე და დასავლური ღირებულებები ორგანიზაციის მართვაში - მდგრადი განვითარება და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

შეზღუდვა:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეზღუდულია: 1). ინდივიდუალური მეწარმეებისთვის; 2). მსხვილი კორპორაციებისთვის და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობისთვის

და/ან უცხოური კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში; 3). აუდიტორული (ფინანსური და საგადასახადო მომსახურება) ფირმებისთვის. 4). იურიდიული მომსახურების გამწვევი კომპანიებისთვის.

პროგრამული უზრუნველყოფა საინფორმაციო ტექნოლოგიებში (IT - Software Development)
მომსახურების სფეროში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განმარტება:

- Web and Mobile Solutions
- IT Support Services (ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისები)
- Creative Digital Solutions (კრეატიული ციფრული გადაწყვეტები)

აუცილებელი მოთხოვნა:

- კომპანიას უნდა გააჩნდეს რეგისტრაციის იურიდიული ფორმა (შპს, ა.შ.)
- ადგილობრივ ბაზარზე მინიმუმ ერთწლიანი ოპერირების გამოცდილება
- მინიმუმ ორი მუდმივი თანამშრომელი დასაქმებული
- სააპლიკაციო ფორმის სრულად შევსება
- სამოტივაციო წერილი (სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში):
 - 1). ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოთხოვნილი ბიუჯეტის ათვისების გეგმა - ა). თუ რაში სჭირდება პროექტიდან 70%-იანი თანადაფინანსება; და ბ). როგორ წაადგება აღნიშნული მომსახურების თუ პროდუქტის შექმნა ბიზნესის განვითარებაში, გაფართოებაში და ინტერნაციონალიზაციის პოტენციალის გაზრდაში ევროპის ბაზარზე.
 - 2). რა ტიპის ევროპული ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას ისურვებდა და რა ტიპის ევროპულ ორგანიზაციებთან დაამყარებდა კავშირებს.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- კომპანიის პორტფელი
- სარეკომენდაციო წერილი მომხმარებლისგან (რომელშიც აღწერილი იქნება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება).

შენიშვნა: თუ კომპანია დაინტერესებულია ორივე კომპონენტით (სასწავლო ვიზიტით და ტექნიკური დახმარებით) სარგებლობით, შესაბამისად აუცილებელი მოთხოვნა არის ორი შესაბამისი სამოტივაციო წერილის დაწერა სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფებში. სამოტივაციო წერილი შეიძლება შედგებოდეს მინიმუმ 200 და მაქსიმუმ 500 სიტყვისგან.

შერჩევის პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება:

- კომპანიის პორტფელს - საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის გამოცდილება, მათ შორის ადგილობრივ ბაზარზე.

- საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილება (გამოფენები, კონფერენციები, ტრენინგები, სავაჭრო მისიები, ა.შ.).
- კომპანიებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, განხორციელებული პროექტების თუ სერვისების და საქმიანობის გზით, დადებით გავლენას ახდენს საქართველოში გარემოს დაცვის და გენდერული თანასწორობის (მაგალითად: ქალების ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში წახალისების) პოპულარიზაციაზე. აღნიშნულის შესახებ, კონკურსში მონაწილე კომპანიებმა აუცილებელია მიუთითონ და შეავსონ კონკურსის განაცხადის ფორმის შესაბამისი გრაფა.
- კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე და დასავლური ღირებულებები ორგანიზაციის მართვაში - მდგრადი განვითარება და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

შეზღუდვა:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეზღუდულია ინდივიდუალური მეწარმეებისთვის, მსხვილი კორპორაციებისთვის და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობისთვის და/ან უცხოური კომპანიის ფილიალისთვის საქართველოში.

.....

შევსებული და მიღებული განაცხადების საფუძველზე, კომპანიების შერჩევის კონკურსი განხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის, შვედეთის საელჩოს და აწარმოე საქართველოში სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონკურსო კომისის მიერ.

განაცხადის შევსება შესაძლებელია ვებ-გვერდის მეშვეობით www.geclose2eu.info

განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 1 ივნისი 2019 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს (EPRC) ელ. ფოსტის მეშვეობით - info@eprc.ge ან დაუკავშირდით ტელეფონით 0322207305.

“ქართული ბიზნესი ახლოს ევროპასთან“ (GEclose2EU) პროექტის შესახებ:

“ქართული ბიზნესი ახლოს ევროპასთან“ სამწლიანი პროექტია და შვედეთის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული და მხარდაჭერილი, რომელიც 2018 წლის მიწურულს დაიწყო და 2021

წლის შემოდგომას დასრულდება. აღნიშნულ პროექტს, რომლის მთლიანი ღირებულება 2,3 მილიონი აშშ დოლარი არის, ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ (EPRC) ახორციელებს, “ანარმე საქართველოში“ სააგენტოსთან თანამშრომლობის გზით.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი და მიზანია ქართული ინტელექტუალური ბიზნეს სერვისების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ეს სერვის სექტორებია: არქიტექტურა-დიზაინი, ბიზნეს საკონსულტაციო და პროგრამული უზრუნველყოფის (IT – Software Development). პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ სექტორებში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის ქართული კომპანიებისთვის განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მათ ევროსტანდარტებთან ღირებულებით, ხედვით და ტექნოლოგიურ დაახლოებას, ევროპელ პოტენციურ პარტნიორებთან კავშირების გაფართოებას, ტრეინინგების გზით თანამედროვე და გლობალურ ბიზნესის მართვის საკითხებში და სისტემებში ცოდნის ამაღლებას, ტექნიკურ დახმარებაზე (კონსულტაციის გზით) ხელმისაწვდომობას და საკონსულტაციო მხარდაჭერას ბიზნესის განვითარების, გაფართოების და ინტერნაციონალიზაციის მიზნით.